ლევან ზ. ურუშაძე
Levan Z. Urushadze

ქართულ-ოსური კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების ისტორიისათვის (მახარბეკ თუღანოვი და საქართველო)

For the History of Georgian-Ossetian Cultural and Scientific Relations (Makharbek Tuganov and Georgia)

თბილისი * Tbilisi
2009

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ოსური სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის, თვალსაჩინო მკვლევარ-ეთნოგრაფის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ჩრდილოეთ ოსეთის პირველი სახალხო მხატვრის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მახარბეკ თუღანოვის (1880-1952) ცხოვრებას და მრავალმხრივ მოღვაწეობას. მახარბეკ თუღანოვი იყო ის მოწინავე მოღვაწე, რომელმაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა ქართულ-ოსური კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების ისტორიაში. 2010 წელს სრულდება 130 წელი მისი დაბადებიდან. სწორედ ამ თარიღს ეძღვნება ეს გამოცემა. ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისა და ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიის საკითხებზე მომუშავე მკვლევართათვის.

This publication is dedicated to the life, creative and scientific work of the People's Painter of the North Ossetia and Meritorious Art Worker of Georgia, an outstanding Ossetian painter, a notable scholar and public figure Makharbek S. Tuganov (1880-1952).

ავტორი: ლევან ზ. ურუშაძე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

Author: Dr. Levan Z. Urushadze – Senior Research Fellow of the Georgian National Museum – Curator of the Museum of the Soviet Occupation, Doctor of Historical Sciences.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გიული ალასანია

Editor: Doctor of Historical Sciences, Professor Giuli G. Alasania

წინათქმა

ეთნიკურად და კულტურულად ჭრელი კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებაა. უძველესი დროიდან აქ ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც ამკვიდრებდნენ უნიკალურ კულტურას. აქ მცხოვრები ხალხები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით, მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე თანაცხოვრებამ მათ მსგავსი ნიშნები შესძინა, საერთო ისტორია და ტრადიციები ჩამოუყალიბა. სტრატეგიულად მეტად ხელსაყრელ გზაჯვარედინზე მდებარეობა კავკასიის რეგიონის განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას განაპირობებდა.

უხსოვარი დროიდან კავკასია იზიდავდა მრავალ დამპყრობელს და მოგზაურს. კავკასიის წარსული – ომებისა და მშვიდობის ისტორიაა. სამწუხაროდ, იშვიათი არ იყო დაპირისპირება საკუთრივ კავკასიის ხალხებშიც, მაგრამ წარსულმა მათი თანადგომის, უანგარო მეგობრობის და თანამშრომლობის გაცილებით მეტი მაგალითი შემოგვინახა და როგორც იგივე ისტორია გვიჩვენებს, განსაკუთრებით წარმატებულნი სწორედ ის ქართველი მეფეები იყვნენ, რომლებიც სხვა კავკასიელ ხალხებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ახერხებდნენ.

ასეთი მეგობრობის და თანამშრომლობის დადასტურება და საუკეთესო მაგალითია წინამდებარე ნაშრომი, რომელიც მკითხველს ჩრდილოეთ ოსეთის სახალხო მხატვრის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ცნობილი მეცნიერ-ეთნოგრაფისა და პუბლიცისტის მახარბეკ თუღანოვის (1880-1952) მეტად საინტერესო და მრავალმხრივ მოღვაწეობას გააცნობს.

ერთმანეთისადმი ინტერესი კავკასიაში ტრადიციული და ბუნებრივია. უძველესი დროიდან კავკასია ნიჭიერი ადამიანების სამჭედლო იყო, რომელთა მოღვაწეობა ასახავდა რეგიონის ბუნების მრავალფეროვნებას და სიმდიდრეს, მის მკვიდრ ხალხთა უმდიდრეს ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. ამის ნათელი დადასტურებაა კავკასიის ერთ-ერთი გამორჩეული შვილის, შესანიშნავი შემოქმედის და მეცნიერის მახარბეკ თუღანოვის ცხოვრება და ნაყოფიერი მოღვაწეობა, პიროვნებისა, რომელსაც მხატვრულ ნამუშევრებთან ერთად ეკუთვნის მრავალი საყურადღებო ნაშრომი ხელოვნებათმცოდნეობის, ხალხური შემოქმედების ისტორიისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის დარგში.

მახარბეკ თუღანოვი მრავალი ძაფით იყო დაკავშირებული საქართველოსთან, რომელსაც თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. გარდა იმისა, რომ მას აქ ჰყავდა ბევრი ახლო მეგობარი და კოლეგა, საქართველოსთან მას აკავშირებდა ნათესაური ურთიერთობებიც. 1930

წლიდან გარდაცვალებამდე იგი საქართველოში, ცხინვალში მოღვაწეობდა, სადაც 1931 წელს სამხატვრო სასწავლებელი დააფუძნა. წლების მანძილზე იყო მისი ხელმძღვანელი და პედაგოგი. 1931-1943 წლებში იყო ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარი მხატვარი. არჩეული გახლდათ საქართველოს მხატვართა კავშირის და ამ კავშირის პრეზიდიუმის წევრად. 1940 წელს მას მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1947 წელს კი, ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. 1942-1952 წლებში მახარბეკ თუღანოვი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

ძალზე ამაღელვებელია ის ფაქტი, რომ მხატვრის ვაჟმა, ცხინვალის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგმა, აწ განსვენებულმა ენვერ თუღანოვმა, 1980-იან წლებში თბილისში ჩამოიტანა და თავის მეგობარს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ იგორ ურუშაძეს გადასცა მამის პირადი არქივი, რომელიც დაამუშავა წინამდებარე ნაშრომის ავტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ლევან ურუშაძემ.

დიდი პიროვნებების მოღვაწეობა მათი გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება. კავკასიას არსებობის მანძილზე ბევრჯერ ჰქონია ავბედობის წლები. უკანასკნელ ხანს ჩვენ ყველამ უმძიმესი დღეები გამოვიარეთ. ჩრდილოელი მეზობლის მიერ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებულმა ბარბაროსულმა აგრესიამ კიდევ უფრო გაართულა ისედაც დაძაბული ვითარება. დღეს ჩატეხილი ხიდების გამთელების, სამართლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის დრო დადგა და ამ საქმეში მახარბეკ თუღანოვს, მის სამეცნიერო და შემოქმედებით მემკვიდრეობას, გვჯერა, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია.

გიული ალასანია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

Preface

Ethnically and culturally motley Caucasus is one of the wonders of the world. From time immemorial lived levels people creating unique culture. These peoples differed from the language, the religious beliefs, the ethnic belonging, but their joint life over a long period of time, the common history worked out the common features and traditions. The particular geopolitical meaning of the Caucasus is conditioned by its location at the important world cross-roads.

From time of mind the Caucasus attracted many conquerors and travelers. The past of the Caucasus was history of the wars and the peaceful spaces of time between them. Unfortunately, the encounters and wars between Caucasian peoples were also held, but the past keeps more examples of mutual aid, collaboration and true friendship and, as history shows, the rule of Georgian kings was especially successful, when they became consolidated the friendship relations with other Caucasian peoples.

The fine example of such friendship and collaboration is the present issue too, that will acquaint a reader with a life and the creative and scientific works of the People's Painter of North Ossetia and the Meritorious Art Worker of Georgia, the remarkable Ossetian painter and scholar (ethnographer) Makharbek S. Tuganov (1880-1952).

The mutual interest between Caucasian peoples is traditional and natural. From remote past the Caucasian always producted the talented people, activity of which reflected the diversity and the wealth of this region. The activity of the distinguished son of the Caucasus, Makharbek Tuganov, an artist and a scholar, the author of many creative and scholarly works was the evident confirmation of it.

Makharbek Tuganov was connected with Georgia by many treads and blood. He had close friends, colleagues and relatives there. Since 1930 he lived in Georgia (in Tskhinvali). In 1931 M. Tuganov established in Tskhinvali an art college and was at the head of it and taught there. In 1931-1943 he was the chief painter of the Kosta Khetagurov State Theatre in Tskhinvali. The Meritorious Art Worker of Georgia (1940), a member of the Georgian Union of Painters (1932-1952) and a member of the Union's Presidium, in 1942-1952 he was also the Senior Research Fellow of the South Ossetian Scientific-Research Institute of the Georgian Academy of Sciences and in 1947 he was awarded with the Honoured Diploma of the Presidium of the Supreme Soviet of the former Georgian SSR.

It is very touching that the painter's son, teacher of art college Enver Tuganov, in 1980-ies brought to Tbilisi his father's private archive and gave it

to his close friend, the art critic, Professor Igor A. Urushadze. At present Doctor of historical sciences, author of the present issue Levan Z. Urushadze studies this this archive and soon the public will be able to acquaint with Makharbek Tuganov's unpublished works, which are the indivisible part of the whole Caucasian culture.

The activity of the great persons is continuing after their death too. History of the Caucasus bears in mind very hard times. For the last time we all went through heaviest days. Barbarous aggression of our northern neighbour in the August 2008 still further complicated the already strained situation. Today the hour has come to restore the ruined bridges. Surely Makharbek Tuganov could do his bit in this deed.

Professor Giuli G. Alasania,
Doctor of historical sciences

შესავალი

კულტურის და მეცნიერების სფეროებში ქართულ-ოსურ კონსტრუქციულ ურთიერთობათა ისტორიას, რომელიც ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის სულისკვეთებით გახლავთ გამსჭვალული, ათწლეულების მანძილზე ქმნიდა ამ ორი მოძმე ერის არაერთი ღირსეული შვილი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე ოსური სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ ფუძემდებელს, თვალსაჩინო მკვლევარ-ეთნოგრაფს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ჩრდილოეთ ოსეთის სახალხო მხატვარს მახარბეკ თუღანოვს, რომლის მრავალმხრივი შემოქმედებითი და სამეცნიერო მემკვიდრეობა ორი ერის მეგობრობის საუკეთესო მაგალითია. მის ცხოვრებას და მოღვაწეობას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

1. მ. თუღანოვის სიყრმისა და სტუდენტობის წლები, მისი მოღვაწეობა ჩრდილოეთ ოსეთში

დაიბადა მახარბეკ თუღანოვი 1880 წლის (თავად მხატვრის მითითებით 1878 წლის) 11 ივნისს, ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ დურ-დურში. მის ბიოგრაფს და მეგობარს მუსა ხაკიმს მოჰყავს მხატვრის სიტყვები: "დავიბადე სოფელ დურ-დურში.... საბუთების მიხედვით დავიბადე 1870 წელს, მაგრამ ეს არ არის სიმართლე. მუსლიმანური სამღვდელოების მეტრიკულ ჩანაწერებში ფანტასტიკურმა აღრევამ მე ქვეყანაზე მომავლინა ჭეშმარიტ თარიღზე სულ მცირე რვა წლით ადრე. ამიტომ, საფიქრებელია, რომ დავიბადე 1878 წელს" [1]. მომავალი მხატვრის მამას - საფარ ასლანგირეის ძე თუღანოვს (გარდაიცვალა 1894 წელს), ბონის (გერმანია) უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. იგი გახლდათ პირველი ოსი მკვლევარი-ბოტანიკოსი. აღსანიშნავია ისიც, რომ საფარი თარხან-მოურავთა ცნობილი ქართული საგვარეულოს ჩამომავალი იყო.

მომავალი მხატვრის დედა – ასიატ შანაევა, რომელსაც კეთილშობილ ქალთა კერძო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, ასევე წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა. მამამისი, - ცნობილი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე გაცირ შანაევი იყო დიდი ოსი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის მამის ლევანის უახლოესი მეგობარი. თუღანოვების საგვარეულო იმითაც იყო ცნობილი, რომ მახარბეკის ბაბუის ძმა – ასლანბეკი (1804-1868) ცარისტული რუსეთის არმიის პირველი ოსი გენერალი გახლდათ [2]. იგი იმპერატორ ნიკოლოზ I-ის პირადი ამალის

წევრი იყო, შემდეგ კი წლების მანძილზე თბილისში, გენერალ ივანე აფხაზოვის (ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზის) კავკასიის კორპუსის შტაბში მსახურობდა. მას ჰქონია ძველი კავკასიური საჭურველის უმდიდრესი და ფასდაუდებელი კოლექცია. სამწუხაროდ, ამ ბრწყინვალე კოლექციის უდიდესი ნაწილი ჟამთასვლამ შეიწირა, რასაც დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა მ. თუღანოვი. ცარისტული რუსეთის არმიის ცნობილი ოფიცერი იყო მხატვრის ბაბუაც, - ასლანგირეი თუღანოვი.

პირველდაწყებითი განათლება მახარბეკმა მიიღო ვლადიკავკაზის ერთ-ერთ კერძო პანსიონში, ხოლო 1898 წელს დაამთავრა ვლადიკავკაზის რეალური სასწავლებელი.

1. საფარ თუღანოვი; ***Sapar Tuganov, father of Makharbek Tuganov, the noted Ossetian stientist (botanist);***
2. 5 წლის მახარბეკი დედასთან ერთად; ***Makharbek Tuganov with his mother***

1901 წელს იგი ჩაირიცხა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1905 წელს. სხვა ცნობილ პედაგოგებთან ერთად აკადემიაში მას ასწავლიდა გამოჩენილი რუსი მხატვარი ილია რეპინი. მახარბეკის კურსელი იყო ცნობილი ქართველი ფერმწერი, მოგვიანებით საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი მოსე თოიძე. აღსანიშნავია, რომ ლენინგრადში 1969 წელს გამოცემულ კრებულში "ახალი რეპინის შესახებ" გამოქვეყნებულია თუღანოვის ვრცელი მოგონება რეპინზე. ამ ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსე თოიძესთან ურთიერთობის ამსახველ მოგონებებსაც [3].

1905-1907 წლებში მახარბეკ თუღანოვი სწავლობდა გერმანიაში, მიუნხენში, პროფესორ ანტონ აშბეს სახელგანთქმულ სტუდიაში. როგორც თავად მიუთითებდა, 1905-1920 წლებში იყო ნეო-იმპრესიონიზმის აქტიური მიმდევარი. სწორედ მიუნხენში გატარებულ წლებში ჩაეყარა საფუძველი მის მეგობრობას გამოჩენილ მხატვრებთან ვასილი კანდინსკისთან და იგორ გრაბართან და ჩეჩნური წარმოშობის ფართოდ ცნობილ მწერალთან ანდრეი ბელისთან (ბუგაევთან), რომლებიც იმხანად ასევე მიუნხენში იმყოფებოდნენ [1].

მახარბეკ თუღანოვი – სტუდენტი
Makharbek Tuganov - Student

1907 წლის დამლევს ახალგაზრდა მხატვარი დაბრუნდა სამშობლოში და ეწეოდა როგორც ნაყოფიერ შემოქმედებით, ისე აქტიურ კვლევით, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გერმანიიდან დაბრუნებისთანავე მ. თუღანოვმა ვლადიკავკაზში დააარსა სამხატვრო სტუდია და მხატვართა საზოგადოება. გარდა ამისა, იგი იყო ვლადიკავკაზის პირველი ოსური საგამომცემლო საზოგადოების "ირ"-ის ("ოსეთი") ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ეს საგამომცემლო საზოგადოება 1906 წლის 7 ოქტომბერს დაფუძნდა თბილისში [1, 4]. ამასთან, 1907 წელსვე, მხატვარი იყო ასევე თბილისში დაფუძნებული ოსური გაზეთის "ნოგ ცარდ" ("ახალი ცხოვრება") ერთ-ერთი დამაარსებელი. თბილისში გამოიცა ამ გაზეთის პირველი ნომრებიც [4]. 1926-1930 წლებში მახარბეკი ფერწერას ასწავლიდა ჩრდილოეთ ოსეთის პედაგოგიურ ტექნიკუმში [5, 6]. პარალელურად, 1925-1930 წლებში იყო ჩრდილოეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

1920 წელს ვლადიკავკაზში მ. თუღანოვის უშუალო მონაწილეობით დაარსდა მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი "ტვორჩესტვო". მასვე ეკუთვნის ამ ჟურნალის ყდის გაფორმება. 1923 წელს იგი გახლდათ ვლადიკავკაზში მთიელთა პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი მხატვარი. მის მიერვე იყო გაფორმებული 1920-იან წლებში ვლადიკავკაზში გამომავალი ჟურნალის, - "გორსკი ვესტნიკ" - ყდა და ამ ჟურნალის ნომრების უდიდესი ნაწილი [1].

1924-1926 წლებში მხატვარმა იმოგზაურა აზერბაიჯანსა და შუა აზიაში. სწორედ ამ მოგზაურობისას შექმნა მან საინტერესო ჩანახატების მთელი სერია. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ჩრდილოეთ ოსეთში მოღვაწე ოსი მკვლევარი ვ. ცაგარაევი თავის ნაშრომში "მახარბეკ თუღანოვი. ცხოვრება და შემოქმედება" აღნიშნავს, რომ ეს "მოგზაურობა" გახლდათ არა მხატვრის სურვილის შესაბამისი, არამედ – იძულებითი, ვინაიდან, უკვე იმხანად ბოლშევიკურ-საბჭოური რეჟიმი იწყებს დევნას მახარბეკ თუღანოვისა, რომელიც მანამდე, 1920-1922 წლებში ხელმძღვანელობდა ამ რეჟიმის მნიშვნელოვანი სააგიტაციო ორგანოს – "ტერ-კავროსტ"-ის სამხატვრო-საპლაკატო განყოფილებას [7]. სხვათა შორის, ამ სააგენტოში მსახურობდა ვლადიმერ მაიაკოვსკიც. საბჭოთა რეჟიმისთვის მიუღებელი იყო ისეთი არაორდინარული პიროვნება, როგორიც გახლდათ მ. თუღანოვი – დახვეწილი, მოწინავე ევროპულ კულტურას ნაზიარები ინტელიგენტი და ჭეშმარიტი არისტოკრატი და, რაც ყველაზე მთავარია, ღრმად ეროვნული პიროვნება, რომლის მთელი შეგნებული ცხოვრება მშობელი ერის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. ადამიანი, რომელსაც თავის დროზე სწორედ საკუთარი ერისადმი უანგარო სამსახურისთვის დევნიდა ცარისტული რუსეთი, ამჯერად გახდა "მშრომელი მასების კეთილდღეობაზე მზრუნველი" საბჭოთა რეჟიმის დევნის ობიექტი.

2. მ. თუღანოვის მოღვაწეობა საქართველოში

1930 წლიდან მხატვრის მთელი შემდგომი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო ცხინვალთან და საქართველოსთან. მისი ცხინვალში დამკვიდრება განაპირობა რამდენიმე მთავარმა მიზეზმა. ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი გახლდათ ქართველი ერისადმი, თავისი ქართველი წინაპრებისადმი და ქართული კულტურისადმი ჭეშმარიტი პატივისცემა. მეორე მიზეზი კი, როგორც მიუთითებს ვ. ცაგარაევი თავის მონოგრაფიაში, იყო ისევ და ისევ საბჭოთა რეჟიმის მიერ მისი დევნა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მ. თუღანოვის ბიოგრაფიის ოსი მკვლევარის სიტყვებს: "მშრომელი კლასისთვის უცხო და მტრული "თანამგზავრების" მხილება ხდებოდა მათივე მოძმე მხატვრების მიერ. ძმა მიდიოდა ძმის წინააღმდეგ, კრიტიკა და დაბეზღება იდენტურ ცნებებად იქცა. ხელისუფლების არჩევანი იყო

სოცრეალიზმი, რომელიც სოციალისტურ სამყაროს გვიხატავდა, როგორც იდეალურ ნიმუშს ყოფიერებისა, როგორც, რეალისტურ ნაჭუჭში გახვეულ დადებით იდეალს. მხატვარი, რომელიც ააფრიალებდა ამ იდეოლოგიის ალამს, მზად უნდა ყოფილიყო ნებისმიერი სოციალური შეკვეთის შესასრულებლად. სოცრეალიზმის თეორიულად ბერწი დოქტრინა, რომელიც მიზნად ისახავდა ერთ მთავარ მიზანს – ურთიერთისთვის დაეკავშირებინა მითი და რეალობა, ერთმანეთში აესახა ისინი, თეორიულად მაინც აეარა გვერდი მათ შორი არსებული გადაულახავი წინააღმდეგობებისათვის, გახდა მხატვართა რამდენიმე თაობის შემოქმედებითი მეთოდის საფუძველი" [7]. მახარბეკ თუღანოვის შინაგანი მდიდარი ბუნება ვერ ეგუებოდა ამ იდეოლოგიურ მარწუხებს, მისი პიროვნება ვერასგზით ვერ თავსდებოდა სოცრეალიზმის დოქტრინით დადგენილ ჩარჩოებში. მხატვრის დევნის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ გაზეთის "ვლადიკავკაზსკი ლისტოკ" (რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც ის იყო) 1912 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნებული მისი საყურადღებო თეორიული ხასიათის სტატია "უახლესი მიმდინარეობები ფერწერაში", რომელშიც ავტორი განიხილავს ფერწერის ევროპულ სკოლებში მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულსა და მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში არსებულ უმთავრეს მიმდინარეობებს [8]. ამასთან, საბჭოთა რეჟიმი ხელოვანს ვერ პატიობდა ხელოვნების "ბურჟუაზიული" მიმართულებებით, - მოდერნიზმითა და პოსტმოდერნიზმით მის წარსულ გატაცებას.

მახარბეკ თუღანოვი ვაჟთან, ენვერთან ერთად, 1929 წ.
Makharbek Tuganov and his son, Enver, 1929

1931 წელს მახარბეკ თუღანოვის ინიციატივით ცხინვალში დაფუძნდა სამხატვრო სასწავლებელი, რომელსაც წლების მანძილზე თავადვე

ხელმძღვანელობდა. აქ იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა 1943 წლამდე [9]. 1931 წელს იგი მიიწვიეს ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარ მხატვრად და ამ მოვალეობას ასრულებდა 1943 წლამდე. აღნიშნულ წელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა თეატრი. თეატრში 12-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე მან მხატვრულად გააფორმა რამდენიმე ათეული სპექტაკლი, რომელთაგან აღსანიშნავია კოსტა ხეთაგუროვის "დუნია", ელბიზდიკო ბრიტაევის "ორი და" და "ამრანი", მუხტარ შავლოხოვის "ნართი ბატრაზი", შილერის "ვერაგობა და სიყვარული", შექსპირის "ოტელო", მოლიერის "სკაპენის ოინები" და ა.შ.

მ. თუღანოვი დასთან ერთად
Makharbek Tuganov and his sister

1940 წელს თბილისში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის დეკადა, რომლის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა მახარბეკ თუღანოვმა. იმავე წელს ცხინვალში ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა დეკადისადმი მიძღვილი კრებული "სამხრეთ ოსეთის ხელოვნების ჩვენება თბილისში". 1940 წელსვე მხატვარს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: 1943 წელს მხატვარი ტოვებს მის მიერ დაარსებულ სამხატვრო სასწავლებელს და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრს. ოფიციალურ მიზეზად სახელდება ტრაფარეტული "ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება"

[9]. აქ თავს იჩენს ბუნებრივი კითხვა: ხომ არ იყო ყოველივე ეს რეჟიმის მიერ დევნის შედეგი და მცდელობა იმისა, რომ სახელოვანი მხატვარი ჩამოეცილებინათ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისაგან?..

1932 წლიდან გარდაცვალებამდე (1952) მ. თუღანოვი იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1934-1950 წლებში კავშირის პრეზიდიუმის წევრი) და აქტიურად მონაწილეობდა მის საქმიანობაში. იგი იყო საქართველოს მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების ერთ-ერთი ფუძემდებელი [10, 11].

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
1940 წ. 6 სექტემბრის ბრძანებულებით
მახარბეკ სიფაძის ძე თუღანოვს
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის თეატრ. და მუსიკ. სკოლების განვითარების
დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის
მიენიჭა
საქართველოს სსრ
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის
წოდება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი

№ 644

1942 წ.
თბილისი

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის (მიენიჭა 1940 წელს) სიგელი (1942 წ.)
The Diploma of the Meritorious Art Worker of Georgia

1935 წელს თბილისში მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელსაც ფართო გამოხმაურება ხვდა წილად [12]. მხატვრის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 1956 წელს, თბილისის სამხატვრო გალერეაში მოეწყო ოს მხატვართა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო მახარბეკ თუღანოვის 7 ნამუშევარი ნართული ეპოსის თემაზე. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ამ გამოფენის

მნახველთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა სწორედ მ. თუღანოვის ტილოებმა. ეს თვალნათლივ ჩანს ხელოვნებათმცოდნეთა გამოხმაურებებიდან. ოსური კულტურის სიამაყე და განძი უწოდა მხატვარს ცნობილმა ქართველმა ხელოვნებათმცოდნემ ნინო გუდიაშვილმა ("ლიტერატურული გაზეთი", 1956 წლის 14 სექტემბერი) [1, 12, 13]. 1962 წელს აწ განსვენებული ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნის, პროფესორ იგორ ურუშაძის თაოსნობით თბილისში ჩატარდა მ. თუღანოვის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა.

მნიშვნელოვანია მხატვრის დამსახურება წიგნის გრაფიკის დარგშიც. მის მიერ გაფორმებულია არაერთი წიგნი და პერიოდული გამოცემა. გარდა ამისა, ხელოვნებათმცოდნეთა ერთსულოვანი მითითებით, იგი გახლდათ შესანიშნავი პორტრეტისტი. ამის ნათელი დასტურია ლიტერატორ იური ლებედინსკის პორტრეტი (1949), "კოსტა – ქარიშხალა" (1938), მოქანდაკე სოსლანბეკ ეძიევის პორტრეტი, ელბიზდიკო ბრიტაევის პორტრეტი (1937), კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის პორტრეტი (1937) და სხვა [1].

1946 წელს მ. თუღანოვს პირველს მიენიჭა ჩრდილოეთ ოსეთის სახალხო მხატვრის წოდება. იმავე წელს მისი თაოსნობით ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში მოეწყო ნართული ეპოსისადმი მიძღვნილი ნახატების გამოფენა [1].

მახარბეკ თუღანოვი, 1899 წ.
Makharbek Tuganov, 1899

1950 წელს საქართველოს მხატვართა კავშირმა და ამ კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებამ აღნიშნეს მხატვრის საქართველოში მოღვაწეობის 20 წლისთავი. "მხატვარი მ.ს. თუღანოვი საქართველოს,

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახვით ხელოვნებას ემსახურება 1930 წლიდან, 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე. მან სტალინირში (ამჟამინდელი ცხინვალი – ლ.უ.) შექმნა სამხატვრო სტუდია, სამხატვრო სასწავლებელი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმთან – სამხატვრო გალერეა და აღზარდა სამხრეთ ოსეთის მხატვართა და სკულპტორთა ახალგაზრდა კადრები. სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირმა (საქართველოს მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილება, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო მახარბეკ თუღანოვი – ლ.უ.) დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საქართველოს მხატვართა კავშირის წინაშე, რათა აღინიშნოს მხატვარ მ.ს. თუღანოვის სამხრეთ ოსეთში შემოქმედებითი მოღვაწეობის მე-20 წლისთავი და მასზე გამოიცეს მონოგრაფია" – აღნიშნულია სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირის სხდომის ოქმში, რომელიც ინახება სახელოვანი მხატვრის პირად არქივში [14].

1951 წელს ცხინვალში გამოიცა "ოსური ხალხური ზღაპრები" მ. თუღანოვის შესანიშნავი ილუსტრაციებით [12].

3. მ. თუღანოვის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა

გარდა მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობისა, მ. თუღანოვი ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას ოსი ხალხის ხალხური შემოქმედების ისტორიისა და ფოლკლორის დარგებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მისი წვლილი კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაშიც. კვლევით საქმიანობას მხატვარი ეწეოდა 1910-იანი წლების დამლევიდან. 1894 წლიდან კი აგროვებდა ოსური ფოლკლორის ნიმუშებს. სწორედ მისი წყალობით განადგურებას გადაურჩა არაერთი შესანიშნავი ფოლკლორული ძეგლი ("თქმულება ნართ მარგუზზე", "თქმულება მარტოხელაზე", "სიმღერა აცამაზზე" და ა.შ.). ჯერ კიდევ 1911 წელს ვლადიკავკაზში დიგორულ დიალექტზე გამოიცა მის მიერ შედგენილი "დიგორული თქმულებები" [1]. ამდენად, შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ 1943 წელს იგი მიიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა გარდაცვალებამდე [12].

მხატვრის ფოლკლორით დაინტერესება არ გახლდათ შემთხვევითი, ვინაიდან ცნობილი ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები იყვნენ დედის მხრიდან მისი ბაბუა და ბიძა.

1935-1951 წლებში მ. თუღანოვის არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა "სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

მოამბე”-ში. თანამშრომლობდა სხვა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შრომები ნართული ეპოსის რაობაზე (სწორედ ამ ეპოსს მიეძღვნა მისი ბრწყინვალე ტილოების მთელი სერია), ოსი ხალხის ხალხური შემოქმედების საკითხებზე, ოსურ ხალხურ ორნამენტზე, კოსტა ხეთაგუროვზე, როგორც ფერმწერზე, თემურ ლენგის შესახებ კავკასიის მთიელ ხალხებში არსებულ თქმულებებზე და ა.შ.

ნართული ეპოსისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: “ვინ არიან ნართები?”, რომელიც გამოქვეყნდა ჯერ კიდევ 1920 წელს ჩრდილოეთ ოსეთში გამომავალი გაზეთის - “ტერსკი კაზაკ” 36-ე ნომერში და ამ სტატიის ვრცელი ვარიანტი (“ჩრდილოეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე”, პირველი გამოშვება, 1925) [15], “ახალი ნართულ ეპოსში” (“სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე”, გამოშვება **I (V)**, 1946) [16]. კოსტა ხეთაგუროვის, როგორც მხატვრის, შემოქმედებისადმია მიძღვნილი მ. თუღანოვის შესანიშნავი ნაშრომები: “მხატვარი კოსტა ხეთაგუროვი” (“სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე”, მესამე გამოშვება, 1936) [17], “კოსტა, როგორც მხატვარი და ოსური ფერწერის ფუძემდებელი” (გაზ. “ზარია ვოსტოკა”, თბილისი, № 271, 1939; ჟურნალი “ტვორჩესტვო”, № 12, 1939) [18], “კიდევ ერთხელ კოსტა ხეთაგუროვზე, როგორც მხატვარზე” (“სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე”, გამოშვება მეოთხე, 1941) [19]. კავკასიის მთიელ ხალხთა ხალხური შემოქმედების ისტორიის საკვანძო საკითხებს ეძღვნება 1923 წელს გამოქვეყნებული ვრცელი ნაშრომი “მთიელთა შემოქმედება ძველად და ახლა” (ვლადიკავკაზის გაზეთი “გორსკაია პრავდა”, №№ 164, 171, 177, 181, 193, 211, 1923 წ.) [20]. ამ საყურადღებო გამოკვლევაში მოცემულია როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა ხალხური შემოქმედების ზოგადი მიმოხილვა, ისე განხილვა დაღესტნელთა, ყაბარდოელთა, ოსთა, ჩეჩნებისა და ინგუშების ხალხური შემოქმედების ისტორიის საკითხებისა და მთიელთა ხალხური ხუროთმოძღვრებისა. აღსანიშნავია, აგრეთვე, იმავე 1923 წელს გამოქვეყნებული სტატია “ოსური ხალხური პოეზია” (გაზეთი “გორსკაია პრავდა”, 1923 წლის 2 დეკემბრის ნომერი) [21] და მხატვრის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული “თეატრის ელემენტები ოსურ ხალხურ შემოქმედებაში” (ალმანახი “საბჭოთა ოსეთი”, № 13, 1959) [22]. ეს მცირე ჩამონათვალიც კი ნათელს ხდის მახარბეკ თუღანოვის, როგორც მკვლევარის, უაღრესად ფართო დიაპაზონს.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ იგი კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას, ქართველი ერის ხალხურ შემოქმედებას და ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებს. ეს ზედმიწევნით ჩანს მის

სამეცნიერო შრომებში. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს გამოკვლევები გამოირჩევა მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და ობიექტურობით.

მ. თუღანოვი, 1901 წ.
Makharbek Tuganov, 1901

საგულისხმოა მისი ნაშრომი "მასალები ოსი ხალხის ისტორიისათვის" (თანაავტორი მ. ხაკიმი, 1950 წ.), რომელიც ცხადჰყოფს ავტორის ღრმა ერუდიციას, ისტორიული წერილობითი წყაროების მონაცემების ზედმიწევნით ცოდნას [23].

მ. თუღანოვი არჩეული იყო სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად და უძღვებოდა ინსტიტუტის საქმიანობას ფოლკლორისტიკის დარგში. იგი გახლდათ 1952 წლამდე აღნიშნული ინსტიტუტის ეგიდით ჩატარებული ყველა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ფორუმის (სიმპოზიუმებისა და სესიების) აქტიური მონაწილე. მაგალითად, ინსტიტუტის მოამბის 1946 წლის პირველ გამოშვებაში გამოქვეყნებულია ინსტიტუტის მეორე სამეცნიერო სესიის ანგარიში, რომელშიც ვკითხულობთ: "საკითხზე "ოსეთის ხალხური შემოქმედება" სესიამ მოისმინა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ.ს. თუღანოვის მოხსენება. მომხსენებელმა წარმოაჩინა უძველესი დროიდან აწმყომდე ოსური ხალხური შემოქმედების განვითარების ზედმიწევნითი, ნათელი სურათი. მოხსენებას ახლდა ქვის და სპილენძის ხანის, აგრეთვე, შემდგომი ეპოქების ამსახველი დიდძალი საილუსტრაციო მასალა" [24]. ამ სამეცნიერო სესიების მაღალ დონეზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გამოჩენილი

მეცნიერები: გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე, მიხეილ ჩიქოვანი, რუსუდან ხარაძე, გიორგი ძოწენიძე, გიორგი ბოჭორიძე, დავით გვრიტიშვილი, რუსუდან მეფისაშვილი, პაატა გუგუშვილი, ნიკოლოზ ბუში, ს. ფილატოვი, ვასო აბაევი და სხვანი.



მ. თუღანოვის სამეცნიერო პუბლიკაციები
The scientific publications of Makharbek Tuganov

მახარბეკ თუღანოვს, როგორც მკვლევარს, ზედმიწევნით ახასიათებს, აგრეთვე, 1949 წელს შესასრულებელი სამეცნიერო თემის "ძველი ოსური ლითონის ნაკეთობების ორნამენტი" სამუშაო გეგმა, რომელიც დაცულია მხატვრის პირად არქივში. კერძოდ, მასში აღნიშნულია:

"I. ა) მოკლე წინასიტყვაობა; ბ) ძველი ყობანის პერიოდის ლითონის ნაკეთობები ოსეთში; გ) სკვითურ-სარმატულ-ალანური პერიოდის ნიმუშები;

II. დ) შუა საუკუნეთა ნიმუშები; ე) მონღოლთა ბატონობის პერიოდი;

III. ვ) თურქთა ბატონობის პერიოდი;

IV. ზ) დარგოს სამაროვანთა ლითონის ნაკეთობები; თ) საქართველო, ყაბარდო და ყირიმი და მათი გავლენა ოსებზე;

V. ი) ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონების ეპოქის ორნამენტი. სახალხო მეიარაღე ოსტატები მე-18 ასწლეულის დამლევამდე; კ) დასკვნები" [25]. მოხმობილი ამონარიდი ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ სიღრმისეული და საფუძვლიანია მ. თუღანოვის სამეცნიერო მემკვიდრეობა, რაოდენ ფართოა მისი სამეცნიერო თვალსაწიერი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა

ძვირფასი შენაძენია არა მარტო ოსური, არამედ საერთოკავკასიური ეთნოგრაფიული მეცნიერებისთვის.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის 1947 წელს მ. თუღანოვი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, რომელიც "საქართველოს სსრ"-ის უმაღლეს ჯილდოს წარმოადგენდა.

1977 წელს მხატვრის ვაჟმა – ენვერ თუღანოვმა ორჯონიკიძეში (ამჟამად ვლადიკავკაზი) რუსულ ენაზე გამოსცა მამის რჩეული სტატიების კრებული [26].

მახარბეკ თუღანოვი იყო ოსური ხალხური ცეკვების ზედმიწევნით მცოდნე და შესანიშნავი მკვლევარი. 1988 წელს ცხინვალში გამოიცა მისი მონოგრაფიული გამოკვლევა "ოსური ხალხური ცეკვები", რომელიც პირველად 1951 წელს გამოქვეყნდა. ნაშრომში ავტორს გამოყენებული აქვს XVII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემები ოსური ცეკვის "ცოპაი"-ს შესახებ [27].

დღემდე გამოუქვეყნებელია მხატვრის არაერთი საინტერესო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები ოსურ ხალხურ ორნამენტსა და ოსი ხალხის ხალხური შემოქმედების ისტორიაზე, რომლებიც დაცულია მხატვრის პირად არქივში.

მ. თუღანოვი მოწაფეებთან და ვაჟთან ერთად
Makharbek Tuganov with his puppils and the son

აღსანიშნავია, რომ მ. თუღანოვის შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს. სწორედ ოსი ხალხისა და ზოგადად, - კავკასიის ხალხთა ისტორიის, ფოლკლორის

და ეთნოგრაფიის, აგრეთვე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების ზედმიწევნით ცოდნა აძლევდა მხატვარს იმის საშუალებას, რომ ისტორიული და ფოლკლორული თემებისადმი მიძღვნილ ტილოებში ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოეცა ოსი და სხვა კავკასიელი ხალხების ესა თუ ის ადათი, ფოლკლორთან და ხალხურ ყოფასთან დაკავშირებული ესა თუ ის დეტალი, ესა თუ ის რიტუალი. მის მხატვრულ ნამუშევრებში არც თუ იშვიათად გამოყენებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნართული ეპოსისადმი მიძღვნილი მისი შესანიშნავი ნამუშევრები. თავის მხრივ, მისი, როგორც ბრწყინვალე მხატვრის ნიჭი მას დიდად ეხმარებოდა ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ სამეცნიერო ნაშრომებზე მუშაობის დროს. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მახარბეკ თუღანოვის მოღვაწეობაში საოცრად ავსებდა ერთმანეთს მისი შემოქმედება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალას, ორიოდე სიტყვით უნდა აღინიშნოს შემდეგი: როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მ. თუღანოვი ფართოდ იყენებდა ე.წ. "ყობანური კულტურის" მასალებს. ყობანურ კულტურად მეცნიერებაში იწოდება ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებული არქეოლოგიური კულტურა, რომლის ნიმუშები აღმოჩენილია ჩრდილოეთ ოსეთში, სოფ. ყობანში ჯერ კიდევ 1877 წლიდან წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ამ კულტურის ნიმუშებს და მის მიმართებას ფართოდ ცნობილ კოლხურ კულტურასთან აქტიურად შეისწავლიდნენ ქართველი მკვლევარებიც. არქეოლოგთა უდიდესი ნაწილი (ბ. კუფტინი, ი. მეშჩანინოვი, ლ. მუსხელიშვილი, მ. ივაშჩენკო და სხვანი) მიიჩნევს, რომ ყობანური კულტურა წარმოადგენს კოლხური კულტურის განშტოებას და ქრონოლოგიურად ემთხვევა კოლხური კულტურის განვითარების ბოლო ეტაპს. არსებობს მოსაზრებაც, რომ აღნიშნული ორი კულტურა განსხვავებულია, თუმცა, ყობანურ კულტურაზე შეიმჩნევა კოლხურის ზეგავლენა (ო. ჯაფარიძე, ბ. ტეხოვი და სხვანი). მ. თუღანოვი არაერთგზის და ზედმიწევნით გაეცნო ყობანური კულტურის ნიმუშებს და თავადაც მონაწილეობდა გათხრებში [28, 29]. თუღანოვის მხატვრულ ნამუშევრებში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიური მასალის გამოყენების უზადო უნარს აღუფრთოვანებია მრავალი პიროვნება. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ გამოჩენილი ქართველი მწერალი და მამულიშვილი გიორგი შატბერაშვილი. ამ საკითხს მიუძღვნა თავისი ვრცელი ნაშრომი თანამედროვე ოსმა მკვლევარმა ხ. ჩშიევმა. მახარბეკ თუღანოვის შემოქმედებითი და სამეცნიერო მემკვიდრეობის, აგრეთვე, სხვა არაერთი მასალის, შესწავლის საფუძველზე ეს ავტორი აკეთებს სავსებით სამართლიან დასკვნას: "იყენებდა რა იმ მომენტისათვის არსებულ ისტორიულ, არქეოლოგიურ და ფოლკლორულ მასალას (იგულისხმება ამა თუ იმ

მხატვრული ტილოს შექმნის დრო – ლ.უ.), მ. თუღანოვმა მოახერხა თავის გენიალურ მხატვრულ კომპოზიციებში მათი შემოქმედებითად ინკორპორირება” [30]. შემთხვევითი არ არის, რომ მ. თუღანოვის ნართული ეპოსისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებს უმაღლესი შეფასება მისცა საქართველოსთან როგორც ნათესაურად, ისე კვლევითი საქმიანობით მჭიდროდ დაკავშირებულმა გამოჩენილმა ოსმა კავკასიოლოგმა, პროფესორმა ვასო აბაევმა [31].

მ. თუღანოვი, ლ. ბესტაევი და ვ. აბაევი, ცხინვალი, 1950 წ.
M. Tuganov, Dr. L. Bestaev and Prof. V. Abaev, 1950

ამ ნაშრომებს ყურადღება მიაქცია ცნობილმა ფრანგმა კავკასიოლოგმა, აკადემიკოსმა ჟორჟ დიუმეზილმა [32], რომელიც გარდაცვალებამდე განაგებდა კავკასიოლოგიის კათედრას სორბონის უნივერსიტეტში. მართალია, ფრანგი სწავლული აკრიტიკებს მ. თუღანოვის ზოგიერთ მოსაზრებას, მაგრამ, საინტერესო და პარადოქსული ის არის, რომ, საბოლოო ჯამში, თვითონაც იგივე დასკვნებს აკეთებს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პრიორიტეტულია სწორედ ოსი ავტორის ნააზრევი, ვინაიდან, იგი უშუალოდ და ზედმიწევნით იცნობს უკლებლივ ყველა იმ მასალას, რომლებსაც განიხილავს თავის გამოკვლევებში.

4. მ. თუღანოვის ურთიერთობა ქართველ მოღვაწეებთან

მახარბეკ თუღანოვს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა არაერთ გამოჩენილ ქართველ მოღვაწესთან. ჯერ კიდევ 1890-იან წლებში, ვლადიკავკაზის რეალურ სასწავლებელში სწავლისას მომავალ მხატვარზე დიდი გავლენა იქონია ამ სასწავლებლის საღვთო სჯულის მასწავლებელმა, ოსეთში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა განმანათლებელმა და მისიონერმა ზაქარია მამაცევმა (მამაცაშვილმა) [4], რომელმაც ყურადღება მიაქცია ყმაწვილის გამორჩეულ ნიჭს. პედსაბჭოს სხდომაზე მას გადაჭრით

მოუთხოვია, რომ განსაკუთრებული გულისყური მიეპყროთ მახარბეკის ნიჭისათვის. სწორედ ამის შემდეგ სასწავლებლის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აკლებდა მომავალი ხელოვანის სწავლა-განათლებას[1].



მ. თუღანოვი, ცხინვალი, 1935 წ.
Makharbek Tuganov, Tskhinvali, 1935

1900 წელს იგი პეტერბურგში დაუახლოვდა დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილის დიმიტრი ყაზბეგის ვაჟს, - როსტომ ყაზბეგს, რომელიც ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით და საგამომცემლო საქმიანობას. იგი იყო ცნობილი პეტერბურგელი გამომცემლის ა. სუვორინის საგამომცემლო სახლის სტამბის დირექტორი. როსტომის ლიტერატურული ფსევდონიმი გახლდათ "როსტომ ყინვარი". სწორედ ამ უკანასკნელის თხოვნით აღნიშნულ წელს მახარბეკ თუღანოვმა "ვეფხისტყაოსნის" თემაზე შეასრულა ნახატი "ტარიელისა და ჯიქის შერკინება". ეს შესანიშნავი ნამუშევარი გამოქვეყნებულია როსტომ ყაზბეგის მიერ 1901 წელს პეტერბურგში გამოცემულ "ვეფხისტყაოსნის" რუსულ ადაპტირებულ თარგმანში, რომლის სახელწოდებაა "ჯიქისტყაოსანი. სურათები სცენისათვის შოთა რუსთაველის ამავე სახელწოდების ქართული პოემის მიხედვით" [12, 33]. აღსანიშნავია, რომ როსტომის სიძე (მისი დის, ოლღას ქმარი) იყო ოსური დრამატურგიის ფუძემდებელი, მ. თუღანოვის უახლოესი მეგობარი და ნათესავი ელბიზდიკო ბრიტაევი [12].

ყაზბეგების ოჯახი, რომელსაც ენათესავებოდა მ. თუღანოვი
The Kazbegi's Georgian family related in kinship and intimate friendship with Makharbek Tuganov

1900-1905 წლებში, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში თუღანოვთან ერთად სწავლობდა მისი უახლოესი მეგობარი, შემდგომში გამოჩენილი ქართველი მხატვარი მოსე თოიძე.



Удостоверение.

Я нижеподписавшиеся Заслуженный Деятель искусств Герой Труда-орденоносец профессор Мойсей Иванович ТОИДЗЕ удостоверяю, что художник Заслуженный деятель искусств Махарбек Сафарович ТУГАНОВ учился совмной вместе в Петербургском Академии Художеств и окончил курс в тысячу девятсот пятом /1905 г./ году.-

Проф. М.И.Тоидзе -

Подпись проф. М.И.Тоидзе заверяется.-

მოწმობა მოსე თოიძის ხელმოწერით
Certificate signed by Professor Mose Toidze (there is certified, that Makharbek Tuganov together with him graduated from St. Peterbourg's Art Academy in 1905)

სახელოვანი მხატვრების ამ მეგობრობის დასტურია მ. თოიძის ორი საგულისხმო წერილი, რომლებიც დაცულია მ. თუღანოვის პირად არქივში. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც ოსი მხატვრის შემოქმედების დახასიათებას წარმოადგენს და, რომელიც თარიღდება 1957 წლით, აღნიშნულია: "ნიჭიერი მხატვარი მახარბეკ თუღანოვი ჩემთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ამ ორმოცდაათი წლის წინ. მახსოვს, თუ როგორ ვფიქრობდით ახალგაზრდა მხატვრები ჩვენს მომავალ შემოქმედებაზე, ვმსჯელობდით ჩვენი ხალხებისადმი სამსახურზე, ჩვენს ოცნებებზე.

თუღანოვი იყო საუკეთესო მაგალითი პროვინციიდან პეტერბურგში ჩასული ახალგაზრდა მხატვრებისთვის. მცირერიცხოვან ოს ხალხს, რომელსაც იმხანად ტანჯავდა თვითმპყრობელობის უღელი, ჭირდებოდა ერთგული ადამიანები, რომელნიც მზად იყვნენ მისადმი უანგარო სამსახურში გაელიათ მთელი ცხოვრება. რა თქმა უნდა, თუღანოვს, როგორც ნიჭიერ ადამიანს, თავისი პროფესიით შეეძლო უზრუნველად ეცხოვრა დიდ ქალაქში, მაგრამ მას არასდროს ავიწყდებოდა თავისი სამშობლო, სამშობლო, სადაც იმ დროს კულტურასა და ხელოვნებას არა თუ ხელს უწყობდნენ, არამედ დევნიდნენ.

.... თუღანოვმა ხელი მიჰყო თავისუფალ შემოქმედებას, მონაწილეობდა გამოფენებში... მან დაასურათა დიდი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის თხზულებები, შექმნა შესანიშნავი, ტემპერამენტით აღსავსე სახეები ოსურო ხალხური თქმულებების მიხედვით. იგი ზრუნავდა ოსური ხელოვნებისათვის კადრების აღსაზრდელად. 1930 წელს შექმნა სამხატვრო სტუდია, რომელიც 1938 წელს გადაკეთდა სამხატვრო სასწავლებლად...

უნდა ვიფიქროთ, რომ ოსეთი ღირსეულად დააფასებს თავის მხატვარს, თავისი მხატვრული კულტურის პიონერს – მახარბეკ თუღანოვს, დააფასებს მის ნახევარსაუკუნოვან მოღვაწეობას და ყველაფერს იღონებს მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად" [34].

საგულისხმოა მ. თუღანოვის ვაჟის, ფერწერის პედაგოგის ენვერ თუღანოვის მოგონება, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "საბჭოთა ოსეთის" 1977 წლის 8 აპრილის ნომერში. კერძოდ, ავტორი იხსენებს 1929 წელს მამასთან ერთად სტუმრობას თბილისში. ისინი დაესწრნენ მეტეხში ხელოვნების მუზეუმის გახსნას, რომელსაც ესწრებოდა მოსე თოიძეც. ავტორი იხსენებს, თუ როგორი სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს ძველი მეგობრები, თუ როგორ ინტერესს იჩენდა მახარბეკ თუღანოვი თბილისის სამხატვრო აკადემიისადმი, ხოლო მოსე თოიძე ცხინვალის სამხატვრო სასწავლებლისადმი [35]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მახარბეკ

თუღანოვი ილია რეპინზე მოგონებაში, რომელიც დაიწერა 1945 წელს, მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თავის ქართველ მეგობარს: "ორმოცდაოთხი წლის წინ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მთელი კავკასიიდან ჩაირიცხა ორად-ორი სტუდენტი. ერთი ამიერკავკასიიდან, უფრო სწორად საქართველოდან. ეს იყო მოსე ივანეს ძე თოიძე, დღეს ორდენოსანი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. ჩრდილოეთ კავკასიიდან კი – მე" – აღნიშნავს ავტორი. იქვე, აღწერს რა რეპინთან პირველ შეხვედრას, მხატვარი იგონებს: "...ჩვენ, რამდენიმე სტუდენტი, წავაწყდით რეპინის მკაცრ და მქუხარე ხმას:

- თქვენ აქ რა გინდათ? რისთვის შეყრილხართ აქ? – უყვიროდა რეპინი შეკრებილთ.

- ხომ თქვენ დაგვიბარეთ, - გაუბედავად უპასუხეს იქ შეკრებილმა მსმენელებმა.

- არა! მე ამას არ ვგულისხმობ... საერთოდ რა გინდათ აქ, ამ ნესტიან, დამყაყებულ და ბნელ პეტერბურგში? აი, მაგალითად, თქვენ რა გინდათ აქ, რისთვის ჩამოხვედით? – მიმართა რეპინმა შავწვეროსან სამხრეთელს. ეს გახლდათ ქართველი მოსე ივანეს ძე თოიძე, როგორც უკვე აღვნიშნე, ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

- მე ჩამოვედი აკადემიაში სასწავლებლად, - იყო გაუბედავი პასუხი, - თქვენთან სასწავლებლად...

- სასწავლებლად? ვისგან სასწავლებლად? რის სასწავლებლად? მიატოვეთ თქვენი სამხრეთი, სამხრეთული მზე, ეს მშვენიერი კავკასია, ზღაპრული ბუნება. ვისგან სასწავლებლად? ჩემგან? მე თავად ვსწავლობ, მე თავად მთელი ცხოვრება ვსწავლობ ცხოვრებისაგან, ბუნებისაგან. დაბრუნდით თქვენთან... იქ მზეა, იქ ბუნებაა. აქ კი რა უნდა ისწავლოთ სინათლის გარეშე, ჰაერის გარეშე, მზის გარეშე... ისწავლეთ იქ, სადაც მზეა, შექმენით იქ, თქვენს სამშობლოში. იქ არის თქვენი ჭეშმარიტი აკადემიები..." [3].

მახარბეკ თუღანოვს ახლო მეგობრობა აკავშირებდა ქართველი შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის არაერთ გამოჩენილ წარმომადგენელთან: გიგო გაბაშვილთან, ლადო და ნინო გუდიაშვილებთან, ვახტანგ კოტეტიშვილთან, სოსო გაბაშვილთან, სერგო ქობულაძესთან, დავით კაკაბაძესთან, ელენე ახვლედიანთან, გიორგი ახვლედიანთან, არნოლდ ჩიქობავასთან, აკაკი შანიძესთან, ვარლამ თოფურიასთან, გიორგი წერეთელთან, გიორგი შატბერაშვილთან, მიხეილ ჩიქოვანთან, იგორ ურუშაძესთან და ა.შ. [1, 12].

1958 წელს თბილისში გამოიცა გიორგი შატბერაშვილის "ფიქრები", რომელშიც გამოქვეყნებულია მწერლის მოგონებები მ. თუღანოვზე. ავტორი აღფრთოვანებულია მხატვრის შემოქმედებით. იგი უმაღლეს შეფასებას აძლევს სახელოვანი ოსი მხატვრის ცნობილ ტილოებს "არაშენდა" და "ცხენის შეწირვა" [36].



Нужно думать, что Осетия оценит своего художника пионера своей художественной культуры - ТУГАНОВА Махарбека, оценит его полувековой труд на пользу нашего общества и сделает все, чтобы увековечить его память.

Народный художник Грузии
Академик /ТОИДЗЕ/

მ. თოიძის დახასიათების დასკვნითი ნაწილი
The final part of the letter of Mose Toidze

მოსე თოიძე
Mose Toidze (Outstanding Georgian painter, friend of Makharbek Tuganov)

ხანძრის დროს თუღანოვის სხვა ნამუშევრებთან ერთად განადგურდა მისი ტილო “კოსტა ყიფიანის საფლავთან”. კოსტა ხეთაგუროვის განუყრელი მეგობარი იყო ოსური კულტურის დიდი მოამაგე, “თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების” ფუძემდებელი (1883), გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, რომელიც გულით დაიტირა ხეთაგუროვმა 1891 წელს. სწორედ ეს მომენტი აღბეჭდა თავის ტილოზე მ. თუღანოვმა [1]. აღსანიშნავია, რომ მცირეწლოვანმა მახარბეკმა სწორედ კოსტა ხეთაგუროვთან გაიცნო მიხეილ ყიფიანი, რომელსაც დიდი ზეგავლენა მოუხდენია მომავალ მხატვარზე. 1938-1939 წლებში იგი მუშაობდა დრამაზე “კოსტა-მწყემსი”, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია სწორედ მიხეილ ყიფიანი. სამწუხაროდ, შემორჩენილია ამ პიესის ხელნაწერის მარტოოდენ ფრაგმენტები [37].

“არა ეჭვიანობის, არამედ სიამაყისა და ძმური სოლიდარობის კანონზომიერ გრძნობას იწვევს ის გარემოება, რომ ქართველი მეგობრები მას მოიხსენიებენ სიტყვებით “ჩვენი თუღანოვი”” – აღნიშნავს მ. ხაკიმი სახელოვანი მხატვრისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში [1].

1. კოსტა ხეთაგუროვი; Kosta Khetagurov, outstanding Ossetian poet;
2. მიხეილ ყიფიანი; Mikheil Kipiani, outstanding Georgian public figure and enlightener

5. მ. თუღანოვი – ეროვნული მოღვაწე

ვახასიათებთ რა მახარბეკ თუღანოვს და მის შემოქმედებით თუ სამეცნიერო მემკვიდრეობას, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ შემდეგ გარემოებას: მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრების 32 წელი დაკავშირებული იყო საბჭოურ-ბოლშევიკურ წყობასთან, მისი მხატვრული შემოქმედებაც და სამეცნიერო ნააზრევიც გახლავთ ღრმად ეროვნული. მიუხედავად იმისა, რომ 1920-1922 წლებში იგი იყო "ტერ-კავროსტ"-ის ("ტერსკო-კავკაზსკოე ოტდელენიე როსიისკოგო ტელეგრაფნოგო აგენტსტვა") თანამშრომელი და ამ პროპაგანდისტული ორგანოს გამოცემების მხატვარი, მის ამ მიმართულების ნამუშევრებშიც კი აშკარად გამოსჭვივის მათი ავტორის ეროვნული ხასიათი და მრწამსი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო სრულიად კავკასიის ღირსეული შვილი. ყურადღებას იპყრობს მ. თუღანოვის 1900-იანი წლების პუბლიცისტიკა, კერძოდ კი, წერილები "მიჯაჭვული პრომეთე" (1909) და "მოჯადოებული წრე" (1910). ავტორის ეროვნული ცნობიერება აშკარად ჩანს პრომეთეზე (ამირანზე) და იმამ შამილზე მისი მსჯელობიდან.



მ. თუღანოვის ხელნაწერი
The manuscript of Makharbek Tuganov

სტატიაში "მოჯადოებული წრე" (1910) მხატვარი აღნიშნავს: "თუ ცენტრალური ხელისუფლებისთვის (ე.ი. იმპერიული ცენტრისთვის – ლ.უ.) კვლავინდებურად მნიშვნელოვანია ისეთი განაპირა მხარე, როგორიც კავკასიაა, მან კავკასიაში დაუყოვნებლივ უნდა გამოგზავნოს სენატის რევიზია, ადგილობრივი სამთავრობო მანქანა უნდა გაწმინდოს ნაგვისგან, მოახდინოს მისი რეორგანიზაცია და აამოქმედოს იგი

საერობო თვითმმართველობის საფუძველზე, დაამსხვრიოს ჯადო იმ ძალებისა, რომელთა მარწუხებშიც სულს ღაფავენ მთის შვილები” [38]. წერილში “მიჯაჭვული პრომეთე” (1909), საუბრობს რა შამილზე, ავტორი აღნიშნავს: “როდესაც 1859 წლის 25 აგვისტოს ღუნიბის სიმაღლეებზე გაიყინა უკანასკნელი გასროლა – ეს იყო კავკასიის სისხლიანი წარსულისადმი უკანასკნელი “ბოდიში”. სისხლიანი დრამა დასრულდა. შამილმა – ჩეჩნეთის და დაღესტნის იმამმა – სასოწარკვეთილ მიურიდებთან ერთად დაასრულა საუკუნოვანი ტრაგედიის უკანასკნელი აქტი. შამილის მოხდენილი გამოთქმით “დარჩნენ მთიელები, ვითარცა ხარი რქების გარეშე და მახვილი ტარის გარეშე””. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტატიაში ავტორი იმედით შესცქერის რუსეთის პროგრესულ ძალებს, ჩვენ მიერ მოხმობილ ამონარიდში კარგად ჩანს შამილის და მის თანამოაზრეთა მრავალწლიანი ბრძოლის ასეთი დასასრულით გამოწვეული სევდა [39]. დედის მხრიდან მახარბეკის დიდი ბაბუა 1810 წელს და 1830-იან წლებში დიგორელთა ანტირუსული გამოსვლების აქტიური მონაწილე გახლდათ, მისი მეორე სახელოვანი წინაპარი ბაისანგურ ბენო კი - შამილის ერთ-ერთი უერთგულესი ნაიბი.

ბაისანგურ ბენო, კავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე

Baisangur Beno, the ancestor of Makharbek Tuganov, hero of the national-liberation movement of the Caucasian peoples, the Imam Shamil’s companion in arms

ვსაუბრობთ რა მ. თუღანოვის ეროვნულ ცნობიერებაზე, გვსურს მოვიხმოთ მისი მრავლისმეტყველი სიტყვები, რომლებიც მოყვანილია მ. ხაკიმის მონოგრაფიაში: "ოსტატობა და ნიჭი მომდინარეობს ხალხის წიაღიდან, გამოიწრთობა ხალხის მიერ და იკვებება მისი უკვდავი სიბრძნით. ხალხში კეთილ ხსოვნას ტოვებს მხოლოდ ის, ვისაც აქვს ბედნიერება ნამატით დაუბრუნოს ხალხს მისგან ბოძებული სიმდიდრე და ამით ერთი ნაბიჯით მაინც წაწიოს წინ მისი სულიერი განვითარება. ამიტომ, ნებისმიერი მეცნიერისა თუ ხელოვანის ბიოგრაფია, მათ შორის ჩემი მოკრძალებული ბიოგრაფიაც, არ უნდა იზღუდებოდეს მარტოოდენ ინდივიდის ცხოვრებისეული გზის შემადგენელი ფაქტების ერთობლიობის აღწერით. იგი უნდა იყოს თხრობა იმის შესახებ, თუ ეროვნულ ნიადაგზე როგორ წამოიზარდა მისი უნარი, როგორ აყვავდა იგი, რა გზით და რამდენად განავითარა ადამიანმა შემდგომში ეს უნარ-ჩვევები იმის სურვილით, რომ დაუბრუნოს მშობელ ქვეყანას თავისი გადაუხდელი ვალი" [1]. ვფიქრობთ, ეს სიტყვები არ საჭიროებს არანაირ კომენტარს.

მხატვარი დიდად განიცდიდა იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ჟამთასვლისა და ადამიანთა უგუნურობის შედეგად ნადგურდებოდა კავკასიის ხალხთა ეროვნული, ისტორიული საგანძური, - მრავალფეროვანი და მრავალსაუკუნოვანი ხალხური შემოქმედება. ჯერ კიდევ 1923 წელს, თავის წერილში "მთიელთა სიძველეთსაცავები", იგი აღნიშნავდა: "კავკასიის მთები, ქვის უშველებელი სკივრებივით, თავისი ხეობების სიღრმეში ასობით და ათასობით წელია ინახავს უძველეს ხალხთა მოღვაწეობის ამსახველ ნაშთებს, ხალხებისა, რომელნიც ოდესღაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მსოფლიო ისტორიულ არენაზე. დღემდე სრულყოფილად არ არის შესწავლილი ამ მცირერიცხოვან ხალხთა განსხვავებული ენები და ადათ-წესები, განსხვავებული კულტურები. იმავდროულად, ხალხური შემოქმედების ძეგლებზე აღბეჭდილი ხალხთა ცოცხალი მატიანე ყოველდღიურად მცირდება, უძველესი ძეგლები ნადგურდება ადამიანისა და დროის მსახვრალი ხელით, საერთოსაკაცობრიო ცხოვრების ფორმების აღმქმელი მეცნიერება განიცდის აუნაზღაურებელ დანაკლისს" [40].

საინტერესოა 1905 წელს ჩრდილოეთ ოსეთში იმხანად გამომავალი რუსულენოვანი გაზეთის "კაზბეკ" 225-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია "ოსთა პეტიცია". წერილში აღნიშნულია, რომ თერგის ოლქში საგანგებო დავალებით ჩასულ გენერალ მიხაილოვს ოსი ხალხის წარმომადგენლებმა კავკასიის მეფისნაცვლისთვის გადასაცემად მიართვეს ოსი ხალხის პეტიცია. ამის შემდეგ მოყვანილია პეტიციის სრული ტექსტი. სანამ ამ საგულისხმო დოკუმენტის ძირითად დებულებებს შევეხებოდეთ, გვსურს აღვნიშნოთ, რომ მისი შინაარსიდან და სტილიდან გამომდინარე, პეტიციის ავტორი თუ არა, ერთ-ერთი ავტორი უნდა იყოს თავად მახარბეკ თუღანოვი. პეტიციაში აღნიშნულია: "ბ-ნ შინაგან

საქმეთა მინისტრის სახელზე ამა წლის 18 თებერვლის უზენაესი რესკრიპტის და კავკასიის მოსახლეობისადმი თქვენი ბრწყინვალების მიმართვის საფუძველზე, ჩვენ, ოსური სასოფლო თემების ნდობით არჭურვილი პირნი, ვაცნობიერებთ რა ოსი ხალხის თანამედროვე მდგომარეობას, მივედით მტკიცე დასკვნამდე, რომ ხალხის შემდგომი მშვიდობიანი და კულტურული განვითარება, მისი ეკონომიური კეთილდღეობის ამაღლება წარმოუდგენელია ქვემოთ მოხმობილი რეფორმების დაუყოვნებლივ განხორციელების გარეშე" [41]. პეტიციაში წარმოდგენილი მეტად თამამი და პრინციპული მოთხოვნებიდან ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო რამდენიმე მათგანმა. კერძოდ, ეს მოთხოვნები უკავშირდება ოსური ენის სახელმწიფო ორგანოებსა და სასამართლოებში ოფიციალურად ხმარების აუცილებლობას, თერგის ოლქში ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღების აუცილებლობას, ოსური ოლქის ადმინისტრაციის ოსი ხალხის მიერ არჩევის აუცილებლობას, ოსებისთვის უკანონოდ ჩამორთმეული მიწების უპირობოდ დაბრუნებას, 16 წლის ასაკამდე უფასო, საყოველთაო და აუცილებელი განათლების შემოღებას და სკოლებში ოსური ენის აუცილებელ სწავლებას, ვლადიკავკაზში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აუცილებლობას და ა.შ. [41]. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ როგორ შეხვდებოდა ამ პეტიციას კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაცია. თავად ავტორმა გერმანიაში გამგზავრებით უშველა თავს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ აცდებოდა სასტიკი რეპრესიები.

აღსანიშნავია, რომ 1988 წელს ცხინვალის გამომცემლობამ "ირისთონი" ქართულ ენაზე, ცნობილი კავკასიოლოგის, პროფ. ვასო აბაევის წინასიტყვაობითა და რედაქციით გამოსცა "ნართები" მ. თუღანოვის ილუსტრაციებით.

არ შეიძლება არ ითქვას იმის შესახებაც, რომ მ. თუღანოვი გახლდათ ბრწყინვალე პედაგოგი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა არაერთი ნიჭიერი მხატვარი და მკვლევარი-ფოლკლორისტი. მის, როგორც ხელოვანის, კრედოზე ნათლად მეტყველებს მისივე სიტყვები: "მხატვარი მზესავით უნდა მუშაობდეს – აისიდან დაისამდე, იგი უნდა იღვიძებდეს და იძინებდეს მზესთან ერთად" [1].

მხატვრის პირად არქივში დაცულია ჩრდილოეთ ოსეთში 1962 წელს გამოცემული მუსა ხაკიმის მონოგრაფია "მახარბეკ თუღანოვი – ოსეთის სახალხო მხატვარი", რომელსაც ამშვენებს ავტორის გულთბილი მიძღვნის წარწერა პროფესორ იგორ ურუშაძისადმი. ამასთან, წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ი. ურუშაძის მოღვაწეობას მ. თუღანოვის შემოქმედების წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის. აღსანიშნავია, რომ ბ-ნი იგორი ჯერ კიდევ 1930-იანი წლების დამლევიდან იცნობდა სახელოვან ოს მხატვარს. ამდენად, შემთხვევითი

არ არის, რომ მხატვრის ვაჟმა, აწ განსვენებულმა ენვერ თუღანოვმა 1980-იან წლებში სწორედ თბილისში ჩამოიტანა და პროფ. ი. ურუშაძეს გადასცა მამის პირადი არქივი.

პროფესორი იგორ ურუშაძე
Professor Igor A. Urushadze (1916-1997), the researcher of Makharbek Tuganov's creative work and the friend of Enver Tuganov

წინამდებარე ნაშრომის ავტორისათვის მეტად სასიამოვნოა, რომ მას ხვდა წილად აღნიშნული არქივის დამუშავება. მასში წარმოდგენილია როგორც მხატვრის ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა, დოკუმენტები და 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ხელნაწერები, ისე 40 ნახატი. ვიმედოვნებთ, რომ ეს არქივი ამიერიდან მახარბეკ თუღანოვის პირადი ფონდის სახით თბილისის თეატრის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმში დაიდებს ბინას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართულ-ოსური ურთიერთობებისა და საერთოკავკასიური კულტურის შესწავლის საქმეში.

დაბოლოს, გვსურს უღრმესი მადლობა მოვახსენოთ პროფ. იგორ ურუშაძის ქალიშვილებს, - ქ-ნ ლეონინას და ქ-ნ პაოლას არქივის სათუთად შენახვისა და სასარგებლო რჩევებისათვის, აგრეთვე, ნაშრომის რედაქტორს, პროფესორ გიული ალასანიას და გამომცემლობა "უნივერსალი"-ს დირექტორს, ბატონ გოჩა ხარებავას.

<u>გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა</u>

1. **М. Хаким. Махарбек Туганов – народный художник Осетии, Орджоникидзе, 1962.**
2. **Туганов Асламбек.- Осетины (http://www.ossetians.com).**
3. **М. Туганов. Мои воспоминания о И.Е. Репине.- Махарбек Туганов, «Литературное наследие», Орджоникидзе, 1977, стр. 107-112.**
4. გ. ღუდუშაური. ქართველი და ჩრდილო-კავკასიელი ხალხების კულტურული ურთიერთობა, თბილისი, 1985.
5. რსფსრ-ის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცაკ-ის მიერ გაცემული მოწმობა (რუს. ენაზე, N 800, 1926 წლის 30 სექტემბერი). მახარბეკ თუღანოვის პირადი არქივი.
6. ჩრდილოეთ ოსეთის პედაგოგიური ტექნიკუმის მიერ გაცემული ცნობა (რუს. ენაზე, N 1173, 1931 წლის 8 სექტემბერი). მახარბეკ თუღანოვის პირადი არქივი.
7. **В. Цагараев. Махарбек Туганов – жизнь и творчество.- Интернет сайт о М. Туганове (http://www.anaharsis.ru/tuganov/tug_13.htm).**
8. **М. Туганов. Новейшие течения живописи.- Газ. «Владикавказский листок», № 12, 1912.**
9. მ. თუღანოვის პირადი განცხადება ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახ. სახელმწიფო თეატრის მთ. მხატვრის მოვალეობისგან მისი გათავისუფლების თხოვნით (რუს. ენაზე, 1943 წ. 23 ოქტომბერი). მახარბეკ თუღანოვის პირადი არქივი.
10. სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირის მიერ გაცემული ცნობა (რუს. ენაზე, N 79, 1934 წ. 14 სექტემბერი). მახარბეკ თუღანოვის პირადი არქივი.
11. საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ გაცემული ცნობა (რუს. ენაზე, N 5/75, 1935 წ. 25 მარტი). მახარბეკ თუღანოვის პირადი არქივი.
12. **А. Цотниашвили. Махарбек Туганов и грузинская общественность.- Сб. «Махарбек Туганов», Цхинвали, 1986, стр. 53-59.**
13. "ლიტერატურული გაზეთი", თბილისი, 1956 წ. 14 სექტემბერი.
14. ამონაწერი სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირის სხდომის ოქმიდან (რუს. ენაზე, 1950 წ.). მახარბეკ თუღანოვის პირადი არქივი.
15. **М. Туганов. Кто такие нарты?.- «Известия Осетинского Научно-исслед. Института Краеведения», т. I, Владикавказ, 1925.**
16. **М. Туганов. Новое в нартовском эпосе.- «Известия Юго-Осетинского Научно-исследовательского института», вып. I (V), 1946.**

17. **М. Туганов. Художник Коста Хетагуров.- «Известия Юго-Осетинского Научно-исследовательского института», вып. III, 1936.**
18. **М. Туганов. Коста как художник и основоположник осетинской живописи.- Газ. «Заря Востока», Тбилиси, № 271, 1939; Ж. «Творчество», № 12, 1939.**
19. **М. Туганов. Еще раз о К. Хетагурове – художнике.- «Известия Юго-Осетинского Научно-исследовательского института», вып. IV, 1941.**
20. **М. Туганов. Искусство горцев в прошлом и настоящем.- Газ. «Горская правда», Владикавказ, №№ 164, 171, 177, 181, 193, 211, 1923.**
21. **М. Туганов. Осетинская народная поэзия.- Газ. «Горская правда», 2. XII. 1923.**
22. **М. Туганов. Элементы театра в осетинском народном творчестве.- Альманах «Советская Осетия», № 13, 1959.**
23. **М. Туганов, М. Хаким. Материалы по изучению истории осетинского народа.- «Известия Юго-Осетинского Научно-исследовательского института», вып. VII, 1950.**
24. **Вторая научная сессия Юго-Осетинского Научно-исследовательского Института Академии Наук Грузинской ССР.- «Известия Юго-Осетинского Научно-исследовательского института», вып. V, 1946, стр. 225-229.**
25. მ. თუღანოვის 1949 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმა (რუს. ენაზე). მახარბეკ თუღანოვის პირადი არქივი.
26. **Махарбек Туганов. Литературное наследие, Орджоникидзе, 1977.**
27. **М. Туганов. Осетинские народные танцы, Цхинвали, 1988.**
28. ლ. ფანცხავა. ყობანური კულტურა.- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. 10, თბილისი, 1986, გვ. 658.
29. **Е.И. Крупнов. Древняя история Северного Кавказа, Москва, 1960.**
30. **Х.Т. Чшиев. Археологические материалы в художественном творчестве М.С. Туганова.- Ж. «Дарьял», Владикавказ, № 3, 2002.**
31. **В.И. Абаев. Избранные труды, т. 1, Владикавказ, 1990.**
32. **Ж. Дюмезиль. Осетинский эпос и мифология, Москва, 1977.**
33. **Р. Кинвари. В барсовой коже. Картины для сцены по грузинской поэме того же названия Шота Руставели. С портретом Ш. Руставели и иллюстрациями в тексте, С-Петербург, типография А.С. Суворина, 1901.**
34. მ. თუღანოვის შემოქმედების შეფასება, ხელმოწერილი მოსე თოიძის მიერ (რუს. ენაზე, 1957). მახარბეკ თუღანოვის პირადი არქივი.

35. გაზ. “საბჭოთა ოსეთი”, ცხინვალი, 1977 წ. 8 აპრილი.
36. გიორგი შატბერაშვილი. ფიქრები, თბილისი, 1958.
37. **М. Туганов. Коста-пастух.- Махарбек Туганов. Литературное наследие, Орджоникидзе, 1977, стр. 195-206.**
38. **М.Т. (М. Туганов). Закалдованный круг.- Газ. «Новая Русь», № 62, 1910.**
39. **М. Туганов. Скованный Прометей.- Газ. «Баку», № 207, 1909.**
40. **М. Туганов. Хранилища горской старины.- Газ. «Горская правда», Владикавказ, № 261, 1923.**
41. **М. Туганов – фотографии, письма, статьи, воспоминания.- Интернет сайт http://www.anaharsis.ru/tuganov/arhiv/tug3.htm .**

Levan Z. Urushadze

For History of the Georgian-Ossetian Cultural and Scientific Relations (Makharbek Tuganov and Georgia)

Summary

By this article we would like to remind of the old generation and to introduce to the youth the versatile activity of one of the founders of modern Ossetian fine art and the outstanding researcher – ethnographer, the Meritorious Art Worker of Georgia and the North Ossetian People's Painter Makharbek Tuganov.

Makharbek Tuganov was born on 11th June of 1880 (according to the painter's information – 1878) in the North Ossetian village Dur-Dur incoming then to Digori district of the Terek region. The father of the future painter Safar Aslangirey Tuganov (dead in 1894) graduated from the Bonn's University (Germany) as a naturalist. He was the first Ossetian researcher-botanist who made a valuable contribution to study of the endemic plants of Ossetia and the Caucasus. It is noticeable, also, that Safar was the descendant of the well-known Georgian kin of Tarkhan-Mouravi and in so far as the famous Georgian general of the XVII century Giorgi Saakadze, known as the Great Mouravi. At the same time Safar was also the descendant of Baisengur Beno – the nearest fellow-campaigner of Imam Shamil, the head of heroical struggle of the Caucasians against the Russian invasion. The mother of Makharbek, Asiat Shanaeva also came of good stock. She finished the noble girls' boarding school in Vladikavkaz. Her father, known ethnographer and public figure Gatsir Shanaev was the nearest friend of Levan Khetagurov, the father of Kosta Khetagurov – the founder of Ossetian literature and fine art. Tuganov's family was outstanding also thanks to brother of Makharbek's grandfather – Aslanbek (1804-1868). He was the first Ossetian general of the Russian Army.

In 1901 he was included in the Petersburg's Academy of Arts, completed by him with honors in 1905. Parallel with the other noted artists, Ilia Repin – the famous Russian painter gave him training there also. Mose Toidze, afterwards the People's Painter of Georgia, was in the same year, as Makharbek. Note should be taken that a spacious memory of Tuganov on Repin was placed among the collected stories "New of Repin", published in 1969 in Leningrad with the reminiscences on Mose Toidze.

In 1905-1907 Makharbek had training in the Munich, in the noted school of Prof. Anton Aschbe. As he told himself in 1905-1920 he was follower of neo-impressionism. Just in the Munich's years he made friends with the later on outstanding painters Vasili Kandinsky and Igor Grabar and the well-known Chechen writer Andrei Beli, who also were in Munich at the same time.

At the end of 1907 the young painter came back to motherland and began both fruitful creative work and research, pedagogical and public activity. Right away after returning M. Tuganov founded in Vladikavkaz the art studio and the art society. Besides he was one of the managers of the first Ossetian publishing society "Ir" ("Ossetia"). Moreover, he was one of the founders of the Ossetian newspaper "Nog Tsard" ("New Life"). It's worthy of note that both the society "Ir" and above-mentioned newspaper were founded in Tbilisi. The first numbers of the newspaper were issued in Tbilisi too. In 1926-1930 Makharbek taught drawing in the North Ossetian pedagogical college. Simultaneously he was scientific worker of the North Ossetian Research Institute of Local Lore.

In 1920 with direct participation of M. Tuganov the art-literary magazine "Tvorchestvo" (the "Creative Work") was founded in Vladikavkaz. M Tuganov designed the cover of this magazine himself. In 1923 he was the main painter of the first agricultural exhibition of the highlanders in Vladikavkaz. He designed also the cover and most of numbers of the magazine "Gorski Vestnik" ("Highland's Herald") that was publishing in Vladikavkaz in 1920-ies.

In 1924-1926 the painter had journeys in Azerbaijan and Central Asia, where he made many interesting sketches. In connection with these journeys the fact of no small importance cleared up. In the book of the North Ossetian author V. Tsagaraev – "Makharbek Tuganov. The life and creative work" was noted that Makharbek's travels were not voluntary at all. In that time the Bolshevist-Soviet regime already started to oppress M. Tuganov, who managed earlier, in 1920-1922, the art-placard branch of the important propaganda body of this regime "Ter-Kavrosta". Makharbek Tuganov, as a European educated cultured man, as a true aristocrat and above all, the national figure who lived with the interests of his people, was unacceptable person for the Soviet regime. A man, who was persecuted by tsarist Russia for it, was persecuted for this one by the Soviet regime, which "cared for public welfare." One reason of the painter's baiting was his important article "The modern currents in painting", published in the Russian newspaper "Vladikavkazski Listok" (one of the founders of which was M. Tuganov himself) in 1912, No 12. Presented in the paper were the main trends in the European painting of the last ten-year period of the 19th century and the first decade of the next. For all that the Soviet regime didn't forgive his last

passions for the "bourgeois" turns of art – the modernism and the post-modernism.

After 1930 all his activity was connected with Georgia in town Tskhinvali.

This was caused by a number of reasons. First and foremost he has a profound respect for Georgian people, his Georgian forefathers and Georgian culture. The other reason was, as told V. Tsagaraev in his book, all the Soviet regime's persecution mentioned above. The inward wealthy nature of Makharbek Tuganov couldn't reconcile oneself to be in the grip of the Soviet ideology. His personality couldn't go in the framework of a socialist realism.

In 1931 in Tskhinvali the art college was established by Makharbek Tuganov's initiative. He directed there for many years and taught there till 1943.

In 1931 he was invited as a main painter of Kosta Khetagurov State Theatre, where he worked till 1943. In 1940 in Tbilisi was held the South Ossetian Ten-day Literature and Art Festival in success of which Makharbek Tuganov made a valuable contribution. In the same year the book devoted to the Ten-day Literature and Art Festival – "The show of the South Ossetian Art in Tbilisi" was published in Tskhinvali in Georgian and Russian. Just in the same year he was awarded by the title of the Georgia's Meritorious Art Worker.

But there were the circumstances attracted our attention: in 1943 the painter forsook an art college established by him and Kosta Khetagurov state theatre too owing to stereotyped "health's worsen". Naturally a question is arising – what happened really? Rather like that Makharbek was obliged to go away.

From 1932 to the death (1952) M. Tuganov was a member of the Union of Painters of Georgia (in 1934-1950 he was a member of the Union's presidium) and actively worked there. He was one of the founders of the South Ossetian Branch of the Union of Painters of Georgia.

The personal exhibition of M. Tuganov's works was held in Tbilisi in 1935 and had a very good press.

A few years later after his death, in 1956, the exhibition of the Ossetian artists was held in Tbilisi picture-gallery and Makharbek Tuganov's 7 works on the theme of Nart epos were exhibited too. It wasn't chance that just Tuganov's canvas' had won the peculiar attention of the visitors. It is clear from the art critic's reviews. The Georgian art critic Nino Gudiashvili named him as "the pride and treasure of Ossetian culture" ("Literaturuli Gazeti", 14. 09. 1956, Tbilisi). The noted Georgian art critic, late professor Igor Urushadze

organized the exhibition of M Tuganov's paintings and drawings in Tbilisi in 1962.

In 1946 M. Tuganov was the first painter who was awarded the title of the North Ossetian People's Painter. His canvas' devoted to the Ossetian Nart epos was exhibited in the capital of North Ossetia at the same year.

Except the many-sided creative work, M. Tuganov held fruitful research activity in the fields of history of the popular creative work of Ossetian people and folk-lore. Furthermore he made a considerable contribution in study of Kosta Khetagurov's life and creative work. Makharbek's research activity counted out from the end of 1910-ies, but he started to collect the samples of Ossetian folk-lore from 1894. Just thanks to him some wonderful specimens of folk-lore were saved ("Story of Nart Marguz", "Story of the Lonely", "Song of Atsamaz" etc.). Still in 1911 he published in Vladikavkaz compiling by him "Digorian Stories" in Digori dialect. It should be mentioned that M. Tuganov's interest to folk-lore was "inheritable", as his grandfather and uncle from mother side were known ethnographers and folk-lorers. Therefore it isn't chance that in 1943 he was invited to the South Ossetian Scientific-Research Institute of Academy of Sciences of Georgia as a Senior Research Fellow, where he worked to the end of his life.

In 1935-1951 some important works of M. Tuganov were published in the "Bulletin of the South Ossetian Scientific-Research Institute". He collaborated with other scientific periodicals too. There are especially interesting the works on the essence of the Nart epos (just this epos inspired him to creation of the wonderful series of the canvas'); on the questions of the popular creative work of Ossetians; on the Ossetian popular ornament; on Kosta Khetagurov as a painter; on legends being among the Caucasian highlanders about Tamerlan's invasions, etc.

Amongst the works devoted to the epos of Narts it will be noted two articles: 1. "Who were Narts?" (firstly it was issued as far back as 1920 in the North Ossetian newspaper "Terski Kazak" No 36 and got the second broadened reading of the placed in the "Bulletin of the North Ossetian Research Institute", number I, 1925) and 2. "The new on the epos of Narts" (the "Bulletin of the South Ossetian Scientific-Research Institute", No I (V), 1946).

It will be noted also the articles devoted to great Ossetian poet and painter Kosta Khetagurov: "The painter Kosta Khetagurov" (the "Bulletin of the South Ossetian Research Institute", Number III, 1936), "Kosta as a painter and a pioneer of the Ossetian painting" (the newspaper "Zaria Vostoka", No 271, 1939, Tbilisi; the magazine "Tvorchestvo", No 12, 1939), "Once more on Kosta Khetagurov as a painter" (the "Bulletin of the South Ossetian Research Institute", No IV, 1941).

The wide research – "The creative work of the mountaineers in olden times and now" (the newspaper "Gorskaia Pravda", No 164, 171, 177, 181, 193, 211, Vladikavkaz, 1923) was concerned with main points of history of the people's art in the Caucasus. In this detailed work was given both a common survey of the people's art of the North Caucasian peoples and a consideration, in particular, of the questions of history of the people's art and the architecture of Daghestanians, Kabardians, Ossetians, Chechenians and Ingushians.

M. Tuganov was elected to scientific council of the South Ossetian Scientific-Research Institute where he managed the Institute's work in the field of folk-lore. He actively took pert in all important scientific forums held under the aegis of the Institute.

Makharbek Tuganov was an expert in Ossetian folk dance and a brilliant dancer himself. In 1988 the second edition of his monographic research "Ossetian Folk Dances" was published in Tskhinvali with author's explanatory drawings and schemes. This work firstly was issued in 1951 but quickly was out of print. It is interesting that in this work the author has used the returns of the distinguished Georgian historian and geographer of the XVII century Vakhushti Bagrationi on the old Ossetian dance "Tsoppai".

Some important works of M. Tuganov are not published up to present day. Among them are the monographs on Ossetian folk ornaments and on history of creative work of Ossetian people. These researches are kept in the artist's private archives.

Makharbek Tuganov was in good terms with many notable Georgian cultural workers. Still in 1890-ies, when he was learning in Vladikavkaz's Real high school, the teacher of Holy Write, the noted Georgian enlightener and missionary Zacharia Mamatsov (Mamatsashvili) turned his attention to the gifted pupil. He resolutely demanded to pay peculiar attention to Makharbek's talant on the pedagogical council of the school. Really this demand was taken into consideration and Makharbek's training always was in the limelight. Mussa Hakim told about it in his book on M. Tuganov (1962).

In 1900 in Petersburg Makharbek became friends with the nephew of the noted Georgian writer Alexandre Kazbegi, the translator and publisher Rostom Kazbegi (the pen-name Kinvary), who was the manager of the printing house of A. Suvorin, the well-known Russian publisher. Exactly at Rostom's request Makharbek drew the scene from the XII century's famous Georgian poem "The Knight in the Panther's Skin" of Shota Rustaveli – "Tariel's grapple with the panther." Rostom Kinvary included this drawing with other illustrations of the well-known Hungarian artist Michai Zichy into

his book "The Panther's Skin. The pictures for the stage after the poem of Shota Rustaveli," published in 1901 in Petersburg.

Note should be taken that Rostom's brother-in-low (husband of his sister Olga) was a founder of the Ossetian drama, M. Tuganov's nearest friend and kinsman Elbizdiko Britaev.

As it was above-mentioned, Mose Toidze, later on the noted Georgian painter, learned in the Petersburg Academy of Arts together with M. Tuganov in 1900-1905. Two noteworthy letters of M. Toidze are kept in Tuganov's private archives.

Makharbek Tuganov was in friendly terms with many representatives of the Georgian intellectuals – the painters and the scientists: Gigo Gabashvili, Lado and Nino Gudiashvili, Vakhtang Kotetishvili, Soso Gabashvili, Sergo Kobuladze, David Kakabadze, Elene Akhvlediani, Giorgi Akhvlediani, Arnold Chikobava, Akaki Shanidze, Varlam Topuria, Giorgi Tsereteli, Giorgi Shatberashvili, Micheil Chikovani etc.

In 1958 in Tbilisi Giorgi Shatberashvili published his "Thouts", where he recalled M. Tuganov. The author was delighted with creative works of him. He gave the highest estimation to noted canvas' of Ossetian painter "Arashenda" and "Sacrifice of a horse".

It's very pity that during fire in Tskhinvali's picture-gallery Tuganov's remarkable canvas "Kosta at Kipiani's Grave", painted in oils in 1939, was burnt down together with many other works of painter. Micheil Kipiani was the noted Georgian public figure and champion of the Ossetian culture. He published the "Ossetian ABC" (1890) and founded the "Society for the Dissemination of Education and Technical Knowledge Among the Highlanders of Terek Region" (1883). M. Kipiani was nearest friend of the great Ossetian poet and painter Kosta Khetagurov, who heartily diplored his death in 1891. M. Tuganov impressed just this moment on his canvas. It should be noted that young Makharbek made M. Kipiani's acquaintance just by Kosta Khetagurov and it made a great impression on him. In 1938-1939 M. Tuganov worked on the drama "Kosta-Herdsman", where one of the character is exactly Micheil Kipiani. Unfortunately, only the fragments of this play's manuscript are kept, which Enver Tuganov published in 1977 in one-volume edition of his father's letters.

To characterize Makharbek Tuganov's creative or scientific legacy one cannot to emphasize to following circumstance: in spite of the 32 years of his life were connected with Soviet-Bolshevist system, his both creative works and scientific ideas always were deeply national. In spite of that in 1929-1922-ies he was employ of the "Ter-Kavrosta" (the "Terek-Caucasian Branch of the

Russian Telegraph Agency") - of that propaganda organization, it may observe the author's national character and conviction in his works. Undoubtedly he was a worthy son of the whole Caucasus.

The book of Mussa Hakim – "Makharbek Tuganov – the Ossetian People's Painter", published in North Ossetia in 1962-is kept in the artist's private archives with the author's warm dedication to prof. Igor Urushadze. For all that the activity of prof. I. Urushadze in presentation and popularization of M. Tuganov's creative work is shown in the book. It should be noted that I. Urushadze was acquainted with the renowned artist as far back as the end of 1930-ies and was friends with his son Enver.

It is no mere chance that artist's son, Enver, brought his father's private archives in Tbilisi in 1980-ies and gave it to I. Urushadze to use it for the future book on M. Tuganov. But I. Urushadze deceased soon also as Enver Tuganov.

For the author of this paper is very pleasant that he was honored to work up the above-mentioned archives. Here are both the photos, documents, about 20 manuscripts of scientific works and 40 drafts and drawings of Makharbek Tuganov.

<u>დანართი</u>

ილუსტრაციები და ეთნოგრაფიული ჩანახატები

<u>Appendix</u>

The illustrations and ethnographic drawings

მ. თუღანოვი, "ტარიელის და ჯიქის შერკინება" (ილუსტრაცია შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნისთვის"), 1900 წ.

Makharbek Tuganov, "Tariel's fight with an ounce" (the illustration for the Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin", XII c.)

მ. თუღანოვი, "კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე", 1910 წ.

M. Tuganov, „Promethus chained to a rock", 1910

მ. თუღანოვი, "ჩერმენი" (ოსი ხალხის ეროვნული გმირი), 1928 წ.

M. Tuganov, "Chermen" (The Ossetian people's hero), 1928

მ. თუღანოვი, "ადილგირეი შანაევი", 1910 წ.

M. Tuganov, "Adilgirey Shanaev" (The noted Ossetian public figure), 1910

მ. თულანოვი, ილუსტრაცია კ. ხეთაგუროვის პოემიდან "ფატიმა"

M. Tuganov, the illustration for the poem of K. Khetagurov "Fatima"

მ. თუღანოვი, ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელმწიფო თეატრის ემბლემის ესკიზი, 1933 წ.

M. Tuganov, the sketch of the logo of the Kosta Khetagurov State Theatre in Tskhinvali, 1933

მ. თულანოვი, “კავკასიელთა ტიპები”

M. Tuganov, “The Caucasian types”

მ. თუღანოვი, “მოცეკვავე ეროვნულ სამოსში”

M. Tuganov, “The dancer in the national garments”



მ. თუღანოვი, “ამირანი”, 1933 წ.

M. Tuganov, “Amiran” (The hero of the Caucasian mythology), 1933

მ. თუღანოვი, “ნართი ბატრაზი”, 1942 წ.

M. Tuganov, “The Nart Batraz”, 1942

მ. თუღანოვი, “ირმების ჭიდილი”, 1946 წ.

M. Tuganov, “Skirmish of the stags”, 1946

მ. თუღანოვი, "ცეკვა ცოპაი" (ელვისგან მოკლულის დატირება), 1947 წ.

M. Tuganov, "The dance Tsopai" (mourning of the lightning's victim), 1947

მ. თუღანოვი, "ნართების ნადიმი"

M. Tuganov, "The feast of the Narths"

მ. თულანოვი, “კოსტა ხეთაგუროვი”

M. Tuganov, “Kosta Khetagurov”

ეთნოგრაფიული ჩანახატები
The ethnographic drawings

1. ხეზე ხალხური კვეთის ნიმუშები
The specimens of the Ossetian popular wood-carving:





2. ოსური გლეხური საცხოვრებლის დარბაზი
The Ossetian peasant's dwelling house:

<u>შინაარსი</u>

წინათქმა (პროფ. გ. ალასანია) ---------- 3

შესავალი ---------- 7

1. მ. თუღანოვის სიყრმისა და სტუდენტობის წლები, მისი მოღვაწეობა ჩრდილოეთ ოსეთში ---------- 7
2. მ. თუღანოვის მოღვაწეობა საქართველოში ---------- 10
3. მ. თუღანოვის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა– 15
4. ურთიერთობა ქართველ მოღვაწეებთან ---------- 21
5. მ. თუღანოვი – ეროვნული მოღვაწე ---------- 28

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა ---------- 33

Levan Z. Urushadze. For History of the Georgian-Ossetian Cultural and Scientific Relations (Makharbek Tuganov and Georgia). Summary ---------- 36

დანართი: ილუსტრაციები და ეთნოგრაფიული ჩანახატები--- 43

Contents

Prologue (Prof. G. Alasania) ---------- 3

Preface ---------- 7

1. **The youth and student days, Makharbek Tuganov's activities in the North Ossetia ---------- 7**
2. **M. Tuganov's activities in Georgia ---------- 10**
3. **M. Tuganov's scientific activities ---------- 15**
4. **Mutual relations with the Georgian cultural workers and public figures ---------- 21**
5. **M. Tuganov – the national figure ---------- 28**

The sources and literature ---------- 33

Levan Z. Urushadze. For History of the Georgian-Ossetian Cultural and Scientific Relations (Makharbek Tuganow and Georgia). English summary ---------- 36

Appendix: The illustrations and ethnographic drawings ------- 43

გამომცემლობა
„უნივერსალი“

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №19
ტელ.: 22 36 09, 899 17 22 30
E-mail: universal@internet.ge